საქართველოს ადვოკატთა ასოციაციია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი

კომისიის წევრები: ეკატერინე გეწაძე, ეკატერინე მაჭარაშვილი, მარინე ცუცქირიძე, ინგა ნებიერიძე, მამუკა ნოზაძე, ანა კოტეტიშვილი, ბესარიონ ბოხაშვილი, ოთარ კაჭკაჭაშვილი, ანა ხურციძე, ინგა ბერიძე, ბესიკ ქარცივაძე

საჩივრის ავტორი - მ. პ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.12.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №155/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ის/სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 09 დეკემბერს, ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. პ.-მა. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ჰონორარის მიღების შემდეგ შეწყვიტა მასთან ურთიერთობა და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ დაიცვა მისი მამის, თ. პ.-ის ინტერესები.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით 2019 წლის 17 აგვისტოს თ. პ.-ის მიმართ დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეში დახმარების მიზნით აიყვანა ადვოკატი ა. ბ.. ადვოკატმა აუხსნა, რომ მამის მიმართ წაყენებული ბრალდება ითვალისწინებდა 7-დან 10 წლამდე პატიმრობას, თუმცა პირობა მისცა, რომ მისი დახმარებით საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პატიმრობის ვადა

განისაზღვრებოდა 1-დან - 2 წლამდე და დარჩენილ ვადაში თ. პ.-ს მოუწევდა პირობითი მსჯავრი. თ. პ.-მა მხოლოდ ამ პირობების შესრულების სანაცვლოდ აღიარა დანაშაული.

1.3 საჩივრის ავტორი ადვოკატს შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების განხორციელებაზე. შეთანხმების მიხედვით საადვოკატო მომსახურებისთვის ჰონორარი განისაზღვრა 500 ლარით. მ. პ.-მა ადვოკატს გადაურიცხა 500 ლარი და ასევე გადაურიცხა 100 ლარი, რომელიც ადვოკატის განმარტებით დაზარალებული მხარისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის იყო საჭირო. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან მოგვიანებით, სხვა ადვოკატისგან შეიტყო, რომ მამის მიმართ წაყენებული ბრალი ქურდობის მცდელობას ითვალისწინებდა. შესაბამისად, ამ საქმეში დაზარალებული პირი არ არსებობდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატი ა. ბ. დაესწრო სამ სასამართლო სხდომას, აქედან პირველ სასამართლო სხდომაზე მ. პ.-მა ვერ შეძლო დასწრება, რადგან ქალაქგარეთ იყო და ხოლო ორ სასამართლო სხდომას დაესწრო. მ. პ. სხდომების თაობაზე ინფორმაციას იღებდა ძირითადად მამისგან. ადვოკატი არ გამოცხადდა ბოლო სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ თავად შესთავაზა თ. პ.-ს ადვოკატის აცილება, რაზედაც ის დათანხმდა და შემდგომ მისი ინტერესების დაცვა განაგრძო სახელმწიფოს მიერ სავალდებულო წესით დანიშნულმა ადვოკატმა.

1.5 მ. პ. ადვოკატთან დაკავშირებას ცდილობდა ტელეფონის ნომერზე, რომელიც ა. ბ.-მა მიაწოდა როგორც მას, ასევე მოსამართლის თანაშემწეს. ტელეფონი მუდმივად გამორთული იყო. ადვოკატთან დაკავშირებას ასევე ვერ ახერხებდა მოსამართლის თანაშემწეც. საჩივრის ავტორმა ადვოკატი ვერ ნახა მის სამუშაო ოფისში და როგორც იქ განუმარტეს, ადვოკატი დაახლოებით 2 თვის განმავლობაში ოფისში არ მისულა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატი ა. ბ. მას მხოლოდ 2-ჯერ ესაუბრა სატელეფონო საშუალებით, თ. პ.-სთან კი დროებითი დაკავების იზოლატორში მხოლოდ ერთხელ იყო მისული. ადვოკატის აცილების შემდეგ გაირკვა, რომ ადვოკატს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, გაიკეთა ოპერაცია, რის გამოც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.

1.7 საჩივრის ავტორი დაესწრო 2022 წლის 06 ივლისის ეთიკის კომისიის სხდომას, სადაც განმარტა, რომ როგორც ახსოვს, ადვოკატმა ა. ბ.-მა მას დაუბრუნა გადახდილი ჰონორარის ნაწილი - 300 ლარის ოდენობით, თუმცა იმის გამო, რომ აღნიშნული ფაქტიდან დიდი დრო გავიდა თანხას ზუსტად ვერ ასახელებდა. საჩივრის ავტორის პოზიციით, ის იმედოვნებს, რომ ადვოკატი ა. ბ. ჰონორარის დარჩენილ ნაწილსაც დაუბრუნებს.

1.8 საჩივრის ავტორმა 2022 წლის 06 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ესაუბრა მამას - თ. პ.-ს, მამის პოზიციის გათვალისწინებით, აღარ სურს ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური წარმოების გაგრძელება, აღარ აქვს პრეტენზია ადვოკატის მიმართ და ითხოვს დისციპლინური წარმოების შეწყვეტას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2020 წლის 01 სექტემბერს ადვოკატმა ა. ბ.-მა წარმოადგინა ახსნა განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ის ნაწილობრივ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. პ.-ს სურვილით ჩაერთო თ. პ.-ის ბრალდების საქმეზე. თ. პ. არაერთხელ იყო ნასამართლევი ქურდობის ფაქტზე და ამ ეტაპზეც წარდგენილი ჰქონდა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით თ. პ.-სთან საპატიმრო დაწესებულებაში შესული იყო მხოლოდ ერთხელ, რადგან დამატებითი შეხვედრის აუცილებლობა არ იყო. თ. პ.-მა აღიარა დანაშაული და მისი სურვილი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ადვოკატმა შეადგინა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით განცხადება, რაზედაც ბრალდებულმა მოაწერა ხელი, ხოლო ადვოკატმა პროკურატურის კანცელარიაში განცხადება ჩააბარა 2019 წლის 14 აგვისტოს. განცხადება დაეწერა ზედამხედველ პროკურორს დ. შ.-ს, რომელმაც სიტყვიერად განუცხადა, რომ თ. პ.-ს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის შესაბამისი თანხა უნდა გადაეხადა. ადვოკატმა განცხადებით მოითხოვა 6 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით პირობითი მსჯავრი. ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორისთვის და მისი მამისთვის გარანტიის მიცემას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. პ. სგან მიღებული თანხის - 100 ლარის გადახდა დაზარალებული მხარისთვის ვერ შეძლო, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საავადმყოფოში აღმოჩნდა. ადვოკატი საავადმყოფოში იმყოფებოდა პირველად 2019 წლის 14 სექტემბერს და ამის შემდეგ 2019 წლის 19 ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით. ადვოკატს გულზე ჩაუტარდა სხვადასხვა ოპერაცია და ემზადება ოპერაციისთვის, რა დროსაც უნდა გაუკეთდეს გულის სტიმულატორი. ადვოკატმა მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩამოსცილდა ბევრ საქმეს და ამავე მიზეზით ვერ შეძლო მ. პ.-ს ინფორმირება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ რაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდა, ის მივიდა სასამართლო პროცესზე, სადაც გაარკვია, რომ პროცესში მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი ადვოკატი, ხოლო ა. ბ. აცილებული იყო ამ საქმიდან.

2.5 ადვოკატი განმარტა, რომ მას არ გააჩნია საჩივრის ავტორისთვის ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება, ვინაიდან თ. პ.-ის ინტერესების დასაცავად გასწია გარკვეული სახის სამუშაოები: სამჯერ დაესწრო სასამართლო სხდომას, შეადგინა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის განცხადება და წარადგინა პროკურატურაში. მიუხედავად ამისა, ადვოკატი მზადყოფნას აცხადებს თანხის დაბრუნებაზე, თუმცა 2022 წლის 06 ივლისის ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა კომისიას აცნობა, რომ ადვოკატმა დაუბრუნა ჰონორარის ნაწილი.

2.6 ადვოკატი ა. ბ. მონაწილეობდა 2022 წლის 06 ივლისის ეთიკის კომისიის სხდომაში, სადაც საჩივრის ავტორმა მოითხოვა ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2020 წლის 26 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ განხილვის სტადიაზე, სარწმუნო მტკიცების სტანდარტით დადასტურდება, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მა არ შეასრულა მ. პ.-ს მიმართ ნაკისრი ვალდებულება, არ წარმოადგინა მისი მამის ინტერესები სასამართლოში და პროკურატურასთან ურთიერთობის დროს და არ აწვდიდა მხარეს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე, ასევე, მიაწოდა მხარეს არასწორი ინფორმაცია მოსალოდნელი ხარჯის შესახებ (100 ლარი), ადვოკატის მხრიდან დარღვეულად ჩაითვლება კლიენტის ინფორმირების, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 მუხლის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6 მუხლები).

3.3 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატმა ა. ბ.-მა კლიენტის საქმეზე არ აწარმოა ხარჯთაღრიცხვა და მიღებული თანხიდან არ დაუბრუნა კლიენტს პროპორციული ოდენობით გამოუმუშავებელი თანხა, რის გამოც დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.12, და 8.15 მუხლები.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის 2020 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციოლინური წარმოების შესახებ“ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად, ეთიკის კომისიის სხდომაზე შესაძლებელია დადასტურდეს ადვოკატის მხრიდან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რის გამოც ადვოკატს შესაძლებელია სახდელის სახით განესაზღვროს გაფრთხილებაზე მეტი, განსაზღვრული ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 2022 წლის 06 ივლისის ეთიკის კომისიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა მ. პ.-მა განუმარტა ეთიკის კომისიას, რომ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით, ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს დისციპლინური საქმის წარმოება.

6.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმე №0155/19 ადვოკატ ა. ბ.-ს /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/

კოლეგიის წევრი:	/მამუკა ნოზაძე/
კოლეგიის წევრი:	/ანა კოტეტიშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ზესარიონ ბოხაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ოთარ კაჭკაჭაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ანა ხურციძე/
კოლეგიის წევრი:	/ინგა ბერიძე/
კოლეგიის წევრი:	/ზესიკ ქარცივაძე/